დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნის პროექტი

საერთაშორისო ურთიერთობები

(ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2022 წლის 6 დეკემბერი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი ირაკლი
გვარი მანველიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე	მე-6
4	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
7	სწავლების ენა	ინგლისური ენა
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0131, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13კმ
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	24/11/2021 MES 7 21 0001261874
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 24 ნოემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 24 ნოემბერი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 31დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვისების შეფასების ადეკვატურობა		მეტწილად შესაბამისობაშია		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი

1.რეკომენდირებულია პროგრამის მიზნების მკაფიო ფორმულირება საკვალიფიკაციო ჩარჩოს და სწავლის სფეროს შესაბამისად;

2.რეკომენდებულია, ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობების ნაწილები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი;

3. რეკომენდირებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებს ჰქონდეთ დაშვების წინაპირობები, რათა ისინი იყვნენ არა მარტო ლოგიკურად და თანმიდევრულად დალაგებულნი, არამედ მან შექმნას სტუდენტისთვის ცოდნის უწყვეტობის და ათვისების საფუძვლიც. (მაგალითად, პოლიტიკური აზრის ისტორია უნდა იყოს პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლების წინაპირობა, ასევე სასწავლო კურსი მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა უნდა იყოს წინაპირობა სასწავლო კურსის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია;

4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების - დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, შესავალო პოლიტიკურ მეცნიერებაში, საერთაშორისო ორგანიზაციები, შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში, შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი შემდგომი გაზომვის მიზნით;

5, რეკომენდირებულია, სილაბუსების „შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში“, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, სილაბუსების სათაური და შინაარსი იყოს შესაბამისობაში;

6, რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების გადახედვა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;

7. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა მოცემულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2022 წლის 21 ნოემბერს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 24 ნოემბრის MES 7 21 0001261874გადაწყვეტილებით საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით. მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა ერთი წელი (2022 წლის 24 ნოემბერი). საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიზნით პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული იქნა რიგი ცვლილებები. სამუშაო ჯგუფი შედგება პროგრამის ხელმძღვანელის, აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის და ა.შ. ჯგუფი გაეცნო საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 4 ნოემბრის MES 7 21 0001261874 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებს, განიხილა თითოეული მათგანი, მოახდინა ადექვატური ცვლილებები საგანმანთლებლო პროგრამაში და წარმოადგინა განხორციელებული ცვლილებების შესახებ ანგარიში.

რჩევ(ებ)ი

1.სასურველია პროგრამის რიგი სწავლის შედეგები წარმოდგენილი იყოს აქტიური ზმნებით;

2.სასურველია შრომის ბაზრის კვლევის განახლება თანამედროვე ტენდენციების გამოსავლენად;

3.სასურველია სილაბუსებში „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში“, „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში“; „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში“ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებულ იქნას მითითების აკადემიური წესების დაცვით;

4.სილაბუსის „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში“ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ლექტორის რიდერი. სასურველია, გამრავალფეროვნდეს სილაბუსის „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში“ ძირითადი ლიტერატურა.

5.სასურველია სასწავლო კურსი „თეზისი წერა-პარქტიკული კურსი“ გადახედილ იქნას შუალედური გამოცდის შეფასებითი დავალების მოცულობა;

6.სასურველია რიგ სასწავლო კურსებში რეკომენდირებული დამატებითი ლიტერატურა გამდიდრდეს ინგლისურენოვანი ლიტერატურით;

7.სასურველია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტთათვის მოცემული პროგრამის ფარგლებში სალექციო კურსის/ვორკშოპის ჩასატარებლად დარგის უცხოენოვანი სპეციალისტი/ექსპერტების რეგულარულად მოწვევა (პანდემიიდან გამომდინარე უკვე დისტანციურად), რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ეზიარონ საერთაშორისო პრაქტიკას და გაეცნონ დარგში მიმდინარე სამეცნიერო სიახლეებს;

8.სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის უცხოელი ექსპერტებისგან იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთირთობები.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა მოცემულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გარდა გაითვალისიწნა ზოგიერთი რჩევაც. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 24 ნოემბრის MES 7 21 0001261874 გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების შესრულების მიზნით პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა თითოეული რჩევა, მოახდინა ადექვატური ცვლილებები საგანმანთლებლო პროგრამაში და წარმოადგინა განხორციელებული ცვლილებების შესახებ ანგარიში.

დამატებითი ინფორმაცია

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.1. პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I	რეკომენდირებულია პროგრამის მიზნების მკაფიო ფორმულირება საკვალიფიკაციო ჩარჩოს და სწავლის სფეროს შესაბამისად.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია, რაც მიღწეული იქნა სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის სწავლის მიზნების რეფორმულირებით, რის შედეგადაც პროგრამის მიზნები უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდა. მიზნების ახალი ფორმულირება ნათლად აჩვენებს მიზნების დაჯგუფების პრინციპს და პროგრამით დასახულ მთავარ ამოცანებს. აქედან გამომდინარე, მიზნები ფორმულირებულია საკვალიფიკაციო ჩარჩოს და სწავლის სფეროს შესაბამისად.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	-საბაკალავრო პროგრამა -საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული

	ცვლილებების ანგარიშის დოკუმენტი -უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II	რეკომენდებულია, ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობების ნაწილები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. რეკომენდაციის შესრულების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა პროგრამით დასახული სწავლის შედეგების რეფორმულირება ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობების ნაწილებში. სამუშაო ჯგუფმა აღნიშნული ცვლილებები ასევე განახორციელა აქტიური ზმნების გამოყენებით, ყოველივე ამის შედეგად გაზარდა პროგრამის სწავლის შედეგების სიცხადე და გაზომვადობის მიღწევა.
რჩევა	სასურველია პროგრამის რიგი სწავლის შედეგები წარმოდგენილი იყოს აქტიური ზმნებით.
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია, სამუშოა ჯგუფის მიერ რჩევის შესაბამისად მოხდა პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება ისეთი აქტიური ზმნების გამოყენებით როგორიცაა აანლიზებს, განსაზღვრავს, ახდენს, ინტერპრეტირებს, აღწერს და ა.შ.
მტკიცებულებ(ები)ა	-საბაკალავრო პროგრამა; -საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშის დოკუმენტი -უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია III	რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია, რისთვისაც საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ განაახლა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტი, რომელშიც განახლებულია სწავლის შედეგები, ასევე, სწავლის შედეგების შეფასებისათვის შერჩეულ რიგ სასწავლო კურსებში, დაემატა სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოყენებული შეფასების კომპონენტები. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით ასევე დგინდება რომ საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეამოწმა მოდიფიცირებული პროგრამა და სილაბუსები პროგრამის და სილაბუსების მიზნების, საწავლის შედეგების, წინაპირობების და სწავლება-სწავლის კომპონენტებში, რითაც დასტურდება რომ ამოქმედდა შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	- საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის დოკუმენტი - უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში -საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშის დოკუმენტი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია IV	რეკომენდირებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებს ჰქონდეთ დაშვების წინაპირობები, რათა ისინი იყვნენ არა მარტო ლოგიკურად და თანმიდევრულად დალაგებულნი, არამედ მან შექმნას სტუდენტისთვის ცოდნის უწყვეტობის და ათვისების საფუძვლიც. (მაგალითად, პოლიტიკური აზრის ისტორია უნდა

	იყოს პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლების წინაპირობა, ასევე სასწავლო კურსი მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა უნდა იყოს წინაპირობა სასწავლო კურსის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია, რისთვისაც სამუშაო ჯგუფმა სასწავლო კურსის- „პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლების წინაპირობა განსაზღვრა სასწავლო კურსი: „პოლიტიკური აზრის ისტორია"; ხოლო სასწავლო კურსის- „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის წინაპირობა გახდა სასწავლო კურსი მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსის სილაბუსი - „პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლები სასწავლო კურსის სილაბუსი - „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია საგანმანათლებო პროგრამა -საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშის დოკუმენტი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია V	რეკომენდირებულია სასწავლო კურსების - დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, შესავალო პოლიტიკურ მეცნიერებაში, საერთაშორისო ორგანიზაციები, შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში, შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი შემდგომი გაზომვის მიზნით.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია, რისთვისაც სამუშაო ჯგუფმა სასწავლო კურსებში - „სამართლის საფუძვლები" „შესავალო პოლიტიკის მეცნიერებაში", „საერთაშორისო ორგანიზაციები", „შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში", „შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში", „საქართველოს საგარეო პოლიტიკა" განახორციელა სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რეფორმულირება, მოხდა მათი ლაკონურად ფორმულირება რაც უზრუნველყოფს მათ

	სიცხადეს და გაზომვადობას.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საგანმანათლებო პროგრამა -საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშის დოკუმენტი სასწავლო კურსის სილაბუსი - „სამართლის საფუძვლები“ სასწავლო კურსის სილაბუსი - შესავალო პოლიტიკის მეცნიერებაში, სასწავლო კურსის სილაბუსი - საერთაშორისო ორგანიზაციები, სასწავლო კურსის სილაბუსი - შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში, სასწავლო კურსის სილაბუსი - შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში, სასწავლო კურსის სილაბუსი - საქართველოს საგარეო პოლიტიკა.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3.სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VI	რეკომენდირებულია, სილაბუსების „შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში“, „დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა“ სილაბუსების სათაური და შინაარსი იყოს შესაბამისობაში.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია, რაც მიღწეული იქნა იმით რომ სასწავლო კურსის სილაბუსში - შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში განახლდა სასწავლო კურსის თემატიკა და ლიტერატურა, რაც ასევე აისახა სასწავლო კურსის მიზანსა და სწავლის შედეგებში. ასევე სასწავლო კურს „დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა“ შეეცვალა დასახელება და დაერქვა სამართლის საფუძვლები, ამავე დროს რეფორმულირება მოხდა სწავლის შედეგების, რითაც სასწავლო კურსების დასახელება, შინაარსი და შედეგები შესაბამისობაში მოვიდა.
რჩევა	სასურველია სილაბუსებში „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში“, „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში“; „საჯარო საერთაშორისო სამართალი“, „შესავალი

	საერთაშორისო უსაფრთხოებაში“ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებულ იქნას მითითების აკადემიური წესების დაცვით.
შეფასება	რჩევა გათვალისიწნებულია. კერძოდ სასწავლო კურსებში - კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში,აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში; „საჯარო საერთაშორისო სამართალი, და შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში ლიტერატურის მითითება მკაფიოა, მოცემული სრული დასახელება.
მტკიცებულებ(ები)ა	-სასწავლო კურის სილაბუსი: სამართლის საფუძვლები -სასწავლო კურის სილაბუსი: შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში -სასწავლო კურის სილაბუსი: კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში, -სასწავლო კურის სილაბუსი: აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში; -სასწავლო კურის სილაბუსი: საჯარო საერთაშორისო სამართალი -სასწავლო კურის სილაბუსი: შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში - უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში -საგანმანათლებო პროგრამა -საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშის დოკუმენტი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია VII	რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების გადახედვა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა, რისთვისაც სასწავლო კურსის სილაბუსში - თეზისის წერა (პრაქტიკული კურსი) განხორციელდა ცვლილება სწავლის შედეგებისა და სწავლა-სწავლების მეთოდების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე მკაფიოდ გაიწერა, სტუდენტების მიერ შესრულებული

	სამუშაოები. დაემატა მას თეზისის გეგმის შედგენის აუცილებლობა ხელმძღვანელობის პირობებში; ხოლო დასკვნითი გამოცდის ფორმატად განისაზღვრა კვლევითი ნაშრომის/თეზისის შესრულება.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	- სასწავლო კურსის სილაბუსი: თეზისის წერა (პრაქტიკული კურსი) - უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში. -საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშის დოკუმენტი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა	სასურველია სასწავლო კურსში „თეზისი წერა-პრაქტიკული კურსი“ გადახედილ იქნას შუალედური გამოცდის შეფასებითი დავალების მოცულობა.
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია, რაც მიღწეულ იქნა იმით რომ სილაბუსსი შევიდა ცვლილება რომლის მიხედვითაც სტუდენტები შუალედური გამოცდისთვის ამზადებენ თეზისის გეგმას 9-13 გვერდის მოცულობით.
მტკიცებულებ(ები)ა	- სასწავლო კურსის სილაბუსი: თეზისის წერა (პრაქტიკული კურსი) - უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში.

თანდართული დოკუმენტაცია

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ ინგლისურ ენაზე - 23 გვ.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ ქართულ ენაზე - 30 გვ.

შიდა ხარისხის მონიტორინგის შედეგები - 1 გვ.

სასწავლო კურსების სილაბუსები:

თეზისის წერა (პრაქტიკული კურსი) ინგლისურ ენაზე – 18 გვ.

თეზისის წერა (პრაქტიკული კურსი) ქართულ ენაზე – 24 გვ.

პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლები ინგლისურ ენაზე - 11 გვ.

პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლები ქართულ ენაზე - 14 გვ.

საერთაშორისო ორგანიზაციები - ინგლისურ ენაზე - 11 გვ.

საერთაშორისო ორგანიზაციები ქართულ ენაზე - 15 გვ.

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია - ინგლისურ ენაზე 9 გვ.

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ქართულ ენაზე - 11 გვ.

სამართლის საფუძვლები ინგლისურ ენაზე - 7 გვ.

სამართლის საფუძვლები ქართულ ენაზე - 9 გვ.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა - ინგლისურ ენაზე 12 გვ.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ქართულ ენაზე - 16 გვ.

შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში ინგლისურ ენაზე 15 გვ.

შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში ქართულ ენაზე 20 გვ.

შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში ინგლისურ ენაზე - 14 გვ.

შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში ქართულ ენაზე - 17 გვ.

შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში ინგლისურ ენაზე - 14 გვ.

შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში ქართულ ენაზე - 15 გვ.

საჯარო საერთაშორისო სამართალი ინგლისურ ენაზე - 9 გვ.

საჯარო საერთაშორისო სამართალი ქართულ ენაზე - 10 გვ.

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში ინგლისურ ენაზე - 12 გვ.

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში ქართულ ენაზე - 14 გვ.

კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში ინგლისურ ენაზე - 10 გვ.

კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში ქართულ ენაზე - 13 გვ.

ექსპერტის ხელმოწერა